10 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 186 (16007)

10 აგვისტო შაბათი 1974 ფასი 2 კაპ.



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲛᲡᲢᲐᲜᲐᲒᲝ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲔᲑᲝ!

ᩩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲔᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲔᲝᲑᲔᲑᲘ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲪ ᲒᲐᲜᲣᲛᲐᲠᲢᲔᲚᲐᲓ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ, ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲩᲐᲛᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ, ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲐᲓᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔᲣᲚ ᲮᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢ ᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲚᲝᲜᲐ.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მასობრიობიდან ოსტატობამდე

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲕᲜᲔᲠᲒᲝᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲘ, ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲗᲘᲗ ᲛᲐᲗᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲒ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲐᲓ ᲣᲓᲔᲕᲡ ᲛᲗᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ „ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲘ — ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲗᲣᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ“.

ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲛᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ, Ს�პᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲪᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲗᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲡᲬᲠᲘᲜᲐ ᲘᲧᲝᲗᲑᲘᲗᲐᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲐᲮᲐ ᲝᲠᲘᲡᲛᲔᲠᲘ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲘ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲔᲡ ᲫᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ, ᲮᲘᲛᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲡ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲗᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨ

პარტიული ცხოვრება

რაიკომი და კირველადი ორგანიზაცია

როცა კომუნისტი კრებას არ ესწრება

რთული ვითარება შეიქმნა ადრე გაზაფხულზე ადიგენის რაიონის ვარხნის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმებში. საკვების სიმცირის გამო პირუტყვს საფრთხე შეექმნა. დიდი, დაძაბული შუაობა მოუხდა მეურნეობის კოლექტივს, მის ახალ ხელმძღვანელობას (დირექტორი ს. ზაზაშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი ა. კონსტანტინოვი), რომ თავი დაეღწია მძიმე მდგომარეობისათვის. კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი: ნორმალურად გამოზამთრა პირუტყვი, შეინარჩუნა სულადობა, გაადიდა მისი პროდუქტიულობა.

უკანასკნელი ხუთი-ექვსი წლის მანძილზე მეურნეობამ პირველად ვადამდე გადამეგზავნა ფასიანდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის დავალება.

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ფერმაში კვლავ ბევრი სერიოზული საკითხია მოსაგვარებელი.

ერთერთი ნაკლია ის, რომ დიდი რაოდენობით ინასაგენ დაბალპროდუქტიულ პირუტყვს. საჭიროა კი მისი შეცვლა ჯიშიანი საქონლით. სათანადო ყურადღება არ ექცევა ძროხების ხელოვნურად დათესლვას. დაბალ დონეზეა ფერმების ზოოვეტმომსახურება.

საბჭოთა მეურნეობაში წლების მანძილზე თითქმის არაფერი არ გაკეთებულა მეცხოველეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. პირუტყვის მომვლელთათვის ზამთრის სადგომებთან კეთილმოწყობილი დასასვენებელი ოთახები არა აქვთ. მათ არ ეძლევათ საეკანასკნელი.

მეცხოველეობის ფერმებში დასაქმებულთა შორის სუსტად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა. ზოგიერთი კომუნისტი თითქმის მთლიანად მოწყვეტილია პარტიულ ცხოვრებას.

ჯერ კიდევ აპრილში, როცა მეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციას ვამოწმებდით, დავრწმუნდით, რომ ფერმებში სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას პარტიული დისციპლინა.

პარტბიუროს მაშინდელმა მდივანმა ვ. მინაძემ კრებების სისტემატურად გამცდენთა შორის დაასახელა ზანნის ფერმის ერთ-ერთი მოწინავე მწველავი ს. იაშვილი, რომელიც ყოველთვის გადამტებით ასრულებს წვლილადობის დავალებას. შარშან მას გეგმის გადამტებით წარმოებული რძისათვის დაერიცხა 173 მანეთი პრემიალური ანაზღაურება.

— იქნებ გვითხრათ, ს. იაშვილი რატომ აცდენს პარტიულ კრებებს?

— როგორ გითხრათ... — ცოტა არ იყოს დაბნეულად გვიპასუხა ვ. მინაძემ, — საამისოდ მას თითქმის არაკითარი საპატიო მიზეზი არა აქვს, უბრალოდ, ეზარება კრებაზე დასასწრებად სოფელ ზანნიდან სოფელ ვარხანში ჩამოსვლა.

ჩვენი აზრით, როცა შრომის მოწინავე კომუნისტი პარტიულ კრებებს ხშირად აცდენს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას რაღაც უშლის ხელს. ამიტომ გადავწყვიტეთ პირადად გავსაუბრებოდით ს. იაშვილს.

შუადღე იყო. ზანნის ფერმაში ორმოდან სენაჟს იღებდნენ, ზონიდნენ და ცალკე აგროვებდნენ ბოსლებში წასაღებად. მათ შორის შევნიშნეთ ერთი, საშუალო ტანის, პირხმელი, შუახნის კაცი. ეს ს. იაშვილი იყო. იგი დიდიხანია ფერმაში მუშაობს. მისი მეუღლეც მწველავია. ერთგული და პატიოსანი შრომით ცოლქმარი კარგი სახელით; პატივისცემით სარგებლობენ სოფელში. კომუნისტი ს. იაშვილი ოჯახიანად სანიმუშო შრომის მაგალითს იძლევა.

არა, ასეთი გამრჯე კაცი არ შეიძლება რომ უმიზეზოდ აცდენდეს პარტიულ კრებებს, — უნებლიეთ გავიფიქრეთ.

აი რა გვითხრა ამის შესახებ თვით ს. იაშვილმა.

— თუნდაც ერთ კრებას როგორ გავაცდენდი, მაგრამ როგორ მოვიქცე, როცა აქედან სოფელ ვარხნამდე, სადაც ჩვენი ორგანიზაციის ბიურო და პარტიული კრებები ეწყობა, სამი კილომეტრია. იქამდე ფეხით ჩასვლას, შინ მისვლასა და ტანსაცმლის გამოცვლას სულ ცოტა საათნახევარი მაინც სჭირდება. უკან დაბრუნებას კიდევ ამდენი. ასეა კრების დაწყებას და დამთავრებას არ იკითხავთ? ისე რომ ყოველთვის, როცა კრებაზე დასასწრებად, საფეხურს გადასახდელად, თუ სხვა საქმისათვის ვარხანში მივდიოარ, რამდენიმე საათი მიეცდება და ძროხები მოუვლელი მრჩება. კრებას რატომღაც დღის 12 საათზე ნიშნავენ (ალბათ ჰგონიათ, რომ ამ დროს ჩვენ საქმე არა გვაქვს). დაწყებთან კი ხმირად უფრო დაგვიანებით იწყებენ. აი ხომ ხედავთ, ახლა დღის ორი საათია. ამ დროს მე სოფელ ვარხნიდან ჯერ კიდევ არა ვარ დაბრუნებული. აქ კი პირუტყვისათვის საკვებია დასაშაქდებელი. ძროხებისთვის საკვების დაგვიანებით მიცემა და წველის რეჟიმის დარღვევა კი წველადობის შემცირებას იწვევს. ჰოდა, ძალაუნებურად ასეთი არჩევანის წინაშე ვარ ხოლმე: ან კრება უნდა გავაცდინო ან სამუშაო. ხანდახან, როცა აქ ამდენი საქმე მაქვს გასაკეთებელი, ვამჯობინებ, ისევ კრების გაცდენისათვის მისაყვედურონ, ვიდრე ჩამორჩენისათვის. ზოგჯერ კი იმასაც ვერ ვგებულობთ, როდის არის დანიშნული კრება.

□ **კომუნისტთა ერთი კოლექტივის დამფიქრებელი გაკვეთილი** □ **რაზომ მიივიწყა პარტიის ადიგენის რაიკომმა ვარხნის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის დარგის პარტიული ორგანიზაცია?**

ასეთსავე მდგომარეობაში არიან ფარეხის ფერმის ბერნარისა და უნაკვეთნისათვის ბრიგადიში მომუშავე კომუნისტები, მათ უფრო შორი მანძილის — თითქმის 5-6 კილომეტრის გავლა და მეტი დროის დაკარგვა უნდებთ კრებაზე დასასწრებად. თვითეული ჩვენგანი ჩვენივე სოფლების საუბნო პარტიულ ორგანიზაციებში რომ ვყოფილიყავით გაერთიანებულნი, როგორც ეს ადრე იყო, მაშინ ასეთ სიძნელეებს ადგილი აღარ ექნებოდა, — დაამთავრა საუბარი ს. იაშვილმა.

მართლაც, საბჭოთა მეურნეობას მსხვილფეხა რქიანი პარტყვსის სამი ფერმის ექვსი ბრიგადა ერთმანეთს დიდი მანძილით დაცილებულ სხვადასხვა სოფლებია განლაგებული, ხოლო საზაფხულო საძოვრები კიდევ უფრო შორს არის ერთმანეთისაგან. ამიტომ ფერმებში დასაქმებული კომუნისტები თავიდან გაერთიანებული იყვნენ ცალკეული სოფლების აგრონუბნებთან არსებულ პარტორგანიზაციებში და ეს საკმაოდ სწორიც იყო. ამასთან აგრონუბნისა და ფერმის კომუნისტებს ბევრი საერთო საზრუნავი ჰქონდათ — კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლება, პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, სათიბ-საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესება, პირუტყვის მომვლელთა შერჩევა-დაკომპლექტება... როცა საუბნო პარტიული ორგანიზაცია სათანადო პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა, ფერმებში კომუნისტებიც, უბნის სხვა პარტიელებთან ერთად წარმატებით ართმევდნენ თავს დაკისრებულ მოვალეობას.

უბედნიერესი რა მეცხოველე კომუნისტთა სამუშაო ადგილის ტერიტორიული გაფანტულობა, 1971 წლის ოქტომბერში ვარხნის საბჭოთა მეურნეობაში შექმნეს ეგრეთ წოდებული დარგობრივი (მეცხოველეობის) პარტიული ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანეს სხვადასხვა სოფლებში გაფანტული მეცხოველეობის ფერმების 26 კომუნისტი. ამით საქმე როდი გამოსწორდა. პირიქით, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ახალმა სიძნელეებმა იჩინა თავი და მუშაობა გაუარესდა.

სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია ითქვას, რომ კომუნისტების სხვადასხვა სოფელში გაფანტულობის გამო აქ უჭირთ პარტიული კრებების რეგულარულად მოწვევა.

გასული წლის ოქტომბერში გამართული საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგაც მთელი ორი-სამი თვის მანძილზე პარტიული კრების მოწვევა ვერ შესძლეს, თუმცა ერთ-ერთ ოქმს თუ დავუჯერებთ, 9 იანვარს და 11 თებერვალს თითქოს მოუწყვიათ პარტიული კრებები. სინამდვილეში ყველაფრიდან ჩანს, რომ არც 9 იანვარს და არც 2 თებერვალს აქ პარტიული კრებები არ მოუწყვიათ, მხოლოდ ოქმები გააფორმეს და ესეც იმიტომ, რომ მათი ამონაწერი ზემდგომი ორგანოსათვის უნდა გაეგზავნათ.

პარტიული კრებების ოქმებში ჩაწერულებრივად აღნიშნავენ მათზე დამსწრე და არდამსწრე კომუნისტთა რიცხვს. კრებებზე კომუნისტთა დაუსწრებლობა ახსნილია „საპატიო მიზეზით“, მაგრამ ვინ რა საპატიო მიზეზით გაცდენია პარტიული კრება, ამას ვერსად ვერ ამოიკითხავთ.

უფრო მეტიც ზოგიერთი კრების ოქმიდან ისეთი შთაბეჭდილება ეგრეზათ, თითქოს მას თავმჯდომარის, მდივნის და მომხსენებლის მეტი არავინ ესწრებოდა, რადგან კამათში არავის მიუღია მონაწილეობა. უკეთეს შემთხვევაში კი კრებაზე ერთი ან ორი კომუნისტი თუ გამოთქვამს თავის აზრს განხილული საკითხის ირგვლივ.

კრებებზე უფრო ხშირად განიხილავენ სამეურნეო საკითხებს, პარტიული მუშაობა კი ოფიციალურად ასხენდებათ. დადგენილებებიც ზოგადია, რის გამოც ისინი ქაღალდზე რჩება. თვალშისაცემია ვ. წ. „შტატიანი ორატორებიც“. მომხსენებლებად და კამათში ერთი და იგივე კომუნისტები გამოდიან. წარმოიდგინეთ, რომ კრების თავმჯდომარეებად და მდივნებადაც ძალიან ხშირად ერთსა და იმავე კომუნისტებს ირჩევენ. გასულ წელს მოწყობილი 10 კრებიდან ოთხს თავმჯდომარეობდა ფ. სარაშვილი, სამს — გ. მაჩიტაძე, ხოლო ლ. ხუციშვილი 8-ჯერ იყო არჩეული კრების მდივნად.

გამოირკვა, რომ კომუნისტები პარტიულ საქვეროსაც არ იხდიან დროულად. პარტბიუროს ყოფილი მდივნები ხშირად თვითონ ფარავდნენ საწევრო ანარიცხს და დავალიანებას არ უჩვენებდნენ.

9 ივლისს ვეწვიეთ პარტიულ ორგანიზაციას. როცა პარტიულ კრებებზე კომუნისტთა დასწრებითა და საწევრო ანარიცხების გადახდით დაინტერესდით, პარტბიუროს მდივანმა ფ. სარაშვილმაც თავის წინამორბედთა მსგავსად შემოგვჩივლა: მეცხოველეობის ფერმები, რომლებშიც ჩვენი კომუნისტები მუშაობენ, ერთმანეთს დიდი მანძილით არის დაცილებულნი, ყველა მათგანი ვერ ახერხებს პარტიულ კრებებზე დასწრებას და საწევროს დროულად გადახდასო. ამასთან მან წარმოგვიდგინა ვრცელი სია კომუნისტებისა, რომლებიც მაის-ივნისში არ ესწრებოდნენ პარტიულ კრებებს და გადაუხდელი ჰქონდათ საწევრო ანარიცხები.

ამ ნაკლოვანებებიდან მხოლოდ იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ვარხნის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტი და პარტიის ადიგენის რაიონული კომიტეტი წლების მანძილზე საფუძვლიანად არ სწავლობენ ამ პირველად პარტიულ ორგანიზაციაში შექმნილ ვითარებას, სათანადო დახმარებას არ უწევენ კომუნისტებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შ. მაისურაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

გაზეთის ანგარიში რაიკომის ბიუროზე

ტყიბულის. (საკ. კორ.). ამ დღეებში პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მოისმინა გაზეთ „ტყიბულის“ რედაქტორის ს. მერკვილაძის ანგარიში მეცხრე ხუთწლედის შესრულებისათვის მშრომელთა მობილიზაციის საქმეში გაზეთის მუშაობის შესახებ.

ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ გაზეთი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის მშრომელთა დასარაზმავად. შემოღებულია მრავალი ახალი რუბრიკა, რომლითაც შუქდება ხუთწლედის მოწინავე ადამიანთა შრომითი საქმეები.

ამასწინათ გაშლილი გვერდები მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ქალაქის მშრომელთა თავდადებულ შრომას.

რაიკომის ბიურომ აღნიშნა ისიც, რომ გაზეთი ცოტას აქცევენს სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა წერილებს. ზოგი კორესპონდენცია, ნარკვევი ზერელეა.

საქალაქო კომიტეტის ბიურომ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახა ღონისძიება.

სკოლა და ცხოვრება

შრომითი აღზრდა ოჯახსა და სკოლაში

ბოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხი ყოველთვის იდგა ჩვენი პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრში. მაგრამ ეხი განსაკუთრებული ზრუნვის საგნად გადაიქცა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო კანონი „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“.

1954-1955 სასწავლო წლიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებით სკოლებში შრომითი მეცადინეობის აღდგენამ, „წარმოების საფუძვლების“ კურსის შემოღებამ, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების სწავლების გარდაქმნამ პოლიტექნიკური განათლების ამოცანათა შუქზე დადებითი როლი შეასრულა სკოლის ცხოვრებასთან, წარმოებასთან კავშირის განმტკიცებაში, მოსწავლეთა შრომითი აღზრდის ამოცანათა განხორციელებაში.

როცა შრომითს აღზრდაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა მარტო ფიზიკური შრომა, არამედ გონებრივიც, შრომის მასწავლებლის ვალია გაკვეთილებზე მოსწავლეთა ყურადღება გამახვილოს ფიზიკური და გონებრივი შრომის ორგანულ კავშირზე, მათ შორის საუკუნეობრივი დაპირისპირების მოსპობაზე. ამაში პედაგოგებს დიდად დაეხმარება სპეციალური სახელმძღვანელო, რომელშიც უნდა არის შესანიშნავი მაგალითები შრომით ნაზიარებ სიხარულზე.

ჩვენი ქვეყნის ცნობილი მშენებელი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. ულესოვი დიდი სიამაყის გრძნობით ლაპარაკობს თავისი შრომის შესახებ: „ჩემს მშენებლები, ვამაყობთ ჩვენი პროფესიით, ჩვენ შემოქმედნი ვართ... ისიც კი საკმარისია, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც განიცადო ბედნიერება იმის შეგრძნებით, რომ შენ შემოქმედი ხარ! ისიც კი საკმარისია, რომ ერთხელ მაინც შეხედო, თუ როგორ იზრდება, როგორ იფსება ახალმოსახლეებით შენს მიერ აშენებული სახლები, როგორ იძლევა პირველ დენს შენ მიერ აშენებული ელექტროსადგური, ანდა როგორ რწყავს მიწას შენ მიერ გაყვანილი არხი; როგორ დადიან ბავშვები შენ მიერ აგებულ საბავშვო ბაღში. ჩემთვის ეს ისეთი ჯერეზობაა, რომ მას ვერ დაჩრდილავს ვერავითარი პრემია, ვერავითარი დიდება. კარგად მოწყობაზე უკეთ ალარ ვლაპარაკობ: განა რამედ ღირს კარგად მოწყობა, თუ კი მუშაობა არ ეახარებს, თუ კი ცხოვრება მოსაწყენია“?!

ამ სტატიის დაწერა ჩვენ შემდეგმა საკითხებმა გვაფიქრებინა: როგორ უნდა გამოუშუშაონ მშობლებმა უნარ-ჩვევები თავიანთ ბავშვებს; რა უნდა გააკეთოს შრომის მასწავლებელმა საშუალო სკოლის V-VIII კლასებში იმისათვის, რომ მოსწავლეს საბოლოოდ ფორმირებული იქნას როგორც შრომისათვის, ისე სწავლისათვის, ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს კომუნისტური სულისკვეთებით, მეცნიერულად, რათა მოსწავლემ კარგად იცოდეს, რომ „შრომა და სწავლა ერთად დადიან“.

ბავშვის შრომითი საქმიანობა თვითმმართველობიდან იწყება. ჯერ კიდევ სამი წლის ბავშვი უნდა შეარჩიოთ, რომ მან თავისი ტანსაცმისა და სათამაშოების შესაფერის ადგილას დაალაგოს, საჭმელი თვითონ ხელით ჭამოს, ხელპირი დაიბანოს, თვითონ ჩაიცვას და გაიხადოს, შეძლების მიხედვით დაეხმაროს დედას სუფრის გაწყობაში (მოტანასა კოვზი, დანა, ჩანგალი, პური). თუმცა ზოგიერთი ბავშვი ამის ჯაკეთებას ცდილობს, მაგრამ დედა საშუალებას არ აძლევს!...

შვიდი წლის ბავშვი კი უკვე აქტიურად უნდა შრომობდეს, თუმცა ასეთ შემთხვევებშიც ვხვდებით კურიოზებს. ქუჩაში არც თუ იშვიათად ნახავთ შობილს მოსწავლის ჩანთით, მოსწავლე კი გამყოლს უფროსივით მიჰყვება.

ქალაქის მოსწავლეებთან შედარებით ბავშვთა შრომითი საქმიანობის ფართო შესაძლებლობანი იშლება სოფლად. ბავშვები მუშაობენ ბაღში, ბოსტანში, ყანაში, ულიან შინაურ ცხოველებსა და ფრინველს. ბავშვთა სასოფლო-სამეურნეო შრომა წარმატებით შეიძლება იქნას დაკავშირებული სასწავლო მუშაობასთან, ბოტანიკასა და ზოოლოგიაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასთან, ასე რომ ბავშვთა სასოფლო-სამეურნეო შრომაც განხილულ უნდა იქნას როგორც სწავლების საწარმოო შრომასთან შეერთების ფორმა, შრომითი სწავლება საშუალო სკოლის V კლასში იწყება სახელმძღვანელო წიგნით „მეცადინეობა სასწავლო სახელოსნოში“ (ავტორები გ. ეპიტაშვილი და ვ. კვიმსაძე).

მასწავლებელმა, რომელიც ზედმიწევნით უნდა იცნობდეს მთლიან შრომითს პროცესს, მოსწავლეებს კარგად უნდა გააგებინოს, რომ შრომამ შექმნა ადამიანი, რომელიც ბუნებას თავისი ნებისა და სურვილის მიხედვით იყენებს. ყველა სახის მატერიალური დოვლათი ადამიანის დიდი შემოქმედებითი და ბეჯითი შრომის შედეგია. სადაც კი მატერიალური ფასეულობანი იქმნება, ყოველწლიურად აზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებისთვისაც შრომა ჰარმონიულად არის შერწყმული ორი მიზანი — საარსებო საშუალებათა მიღება და შემოქმედებითი მუშაობა საზოგადოების საკეთილდღეოდ.

მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ესწრაფვიან, რათა თავიანთი შრომა შემოქმედებითი გახადონ. ამაში ისინი ხედავენ საწარმოო შრომის სრულფასოვნებას.

მიუხედავად ამისა, რომ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ყველაზე შრომატევადი სამუშაოები სხვადასხვა სახის სრულყოფილი მანქანებით (ტრაქტორი, ბულდოზერი, კომბაინი, ჩარხები და სხვ.) სრულდება, მასალების ხელის იარაღებითა და სამარჯვენით დამუშავებას ამჟამადაც აქვს და შემდეგშიც ექნება მეტად დიდი მნიშვნელობა. ეს მარტო იმით რადი აიხსნება, რომ ბევრი ნივთის დამზადება ხელით მუშაობას საჭიროებს. ძნელია ახლა დავასახელოთ შრომის ისეთი სახე, სადაც ესა თუ ის მანქანა, მექანიზმი ან სამარჯვენი არ იყოს გამოყენებული. მანქანის უნაკლოდ მუშაობისათვის, საჭირო შემთხვევაში კი მისი შეკეთებლობისა ინეოდეს სოფლად. ბავშვები მუშაობენ ბაღში, ბოსტანში, ყანაში, ულიან შინაურ ცხოველებსა და ფრინველს. ბავშვთა სასოფლო-სამეურნეო შრომა წარმატებით შეიძლება იქნას დაკავშირებული სასწავლო მუშაობასთან, ბოტანიკასა და ზოოლოგიაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასთან, ასე რომ ბავშვთა სასოფლო-სამეურნეო შრომაც განხილულ უნდა იქნას როგორც სწავლების საწარმოო შრომასთან შეერთების ფორმა, შრომითი სწავლება საშუალო სკოლის V კლასში იწყება სახელმძღვანელო წიგნით „მეცადინეობა სასწავლო სახელოსნოში“ (ავტორები გ. ეპიტაშვილი და ვ. კვიმსაძე).

ბავშვების შრომითი საქმიანობა ოჯახში ბავშვობიდან იწყება. ჯერ კიდევ სამი წლის ბავშვი უნდა შეარჩიოთ, რომ მან თავისი ტანსაცმისა და სათამაშოების შესაფერის ადგილას დაალაგოს, საჭმელი თვითონ ხელით ჭამოს, ხელპირი დაიბანოს, თვითონ ჩაიცვას და გაიხადოს, შეძლების მიხედვით დაეხმაროს დედას სუფრის გაწყობაში (მოტანასა კოვზი, დანა, ჩანგალი, პური). თუმცა ზოგიერთი ბავშვი ამის ჯაკეთებას ცდილობს, მაგრამ დედა საშუალებას არ აძლევს!...

შვიდი წლის ბავშვი კი უკვე აქტიურად უნდა შრომობდეს, თუმცა ასეთ შემთხვევებშიც ვხვდებით კურიოზებს. ქუჩაში არც თუ იშვიათად ნახავთ შობილს მოსწავლის ჩანთით, მოსწავლე კი გამყოლს უფროსივით მიჰყვება.

ქალაქის მოსწავლეებთან შედარებით ბავშვთა შრომითი საქმიანობის ფართო შესაძლებლობანი იშლება სოფლად. ბავშვები მუშაობენ ბაღში, ბოსტანში, ყანაში, ულიან შინაურ ცხოველებსა და ფრინველს. ბავშვთა სასოფლო-სამეურნეო შრომა წარმატებით შეიძლება იქნას დაკავშირებული სასწავლო მუშაობასთან, ბოტანიკასა და ზოოლოგიაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასთან, ასე რომ ბავშვთა სასოფლო-სამეურნეო შრომაც განხილულ უნდა იქნას როგორც სწავლების საწარმოო შრომასთან შეერთების ფორმა, შრომითი სწავლება საშუალო სკოლის V კლასში იწყება სახელმძღვანელო წიგნით „მეცადინეობა სასწავლო სახელოსნოში“ (ავტორები გ. ეპიტაშვილი და ვ. კვიმსაძე).

ბავშვის შრომითი საქმიანობა ოჯახში ბავშვობიდან იწყება. ჯერ კიდევ სამი წლის ბავშვი უნდა შეარჩიოთ, რომ მან თავისი ტანსაცმისა და სათამაშოების შესაფერის ადგილას დაალაგოს, საჭმელი თვითონ ხელით ჭამოს, ხელპირი დაიბანოს, თვითონ ჩაიცვას და გაიხადოს, შეძლების მიხედვით დაეხმაროს დედას სუფრის გაწყობაში (მოტანასა კოვზი, დანა, ჩანგალი, პური). თუმცა ზოგიერთი ბავშვი ამის ჯაკეთებას ცდილობს, მაგრამ დედა საშუალებას არ აძლევს!...

ეს ბავშვი ამ ოჯახის ერთადერთი ბავშვია.

მსოფლიო დღეს

ჯ. ფორდის განცხადება

ვაშინგტონი, 9 აგვისტო. (საკდესი). ვიცე-პრეზიდენტმა ჯერალდ რუდოლფ ფორდმა, რომელიც დღეს დაიკავებს პრეზიდენტის პოსტს, ჯ. ნიქსონის გადადგომასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.

შესაძლებლობა მქონდა, თქვა ჯ. ფორდმა, თვალი მედევნებინა საგარეო პოლიტიკისათვის, რომელიც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა მშვიდობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ჩვენთვის და, იმედი მაქვს, დანარჩენი სამყაროსთვის.

ამ პოლიტიკას, ვფიქრობ, შეუძლია უზრუნველყოს მშვიდობა მომავალ თვეებსა და წლებში.

ნება მიბოძეთ უყოყმანოდ და უპირობოდ აღვნიშნოთ, რომ ეს პოლიტიკა, რომელმაც საშუალება მოგვცა მოგვეფინა მშვიდობისთვის და საფუძველი ჩაგვიყარა მომავალი მშვიდობისათვის, რამდენადაც ეს ჩემზე, როგორც შეერთებული შტატების პრეზიდენტზე იქნება დამოკიდებული, კვლავაც გაგრძელდება.

ჩვენ, განაცხადა ჯ. ფორდმა, ბევრი სხვა პრობლემა გვაქვს. ჩვენ გვაქვს საშინაო პრობლემები, რომლებიც უნდა გადაიჭრას. ისინი უნდა გადაიჭრას და კიდეც გადაიჭრება პრეზიდენტთან და მასთან მომუშავეებთან კონგრესის თანამშრომლობის პირობებში, ვფიქრობ, რომ დემოკრატებთან და რესპუბლიკელებთან ერთად არა მარტო სენატში, არამედ წარმომადგენელთა პალატაში შევუდგე მუშაობას პრობლემებზე — სერიოზულ პრობლემებზე, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში ვაწყდებით.

ჯ. ფორდმა იმედი გამოთქვა, რომ კონგრესთან ურთიერთობაში საზღვარგარეთ და საკუთარ ქვეყანაში პრობლემების გადაჭრაში თანამშრომლობის სულისკვეთება სარგებლობას მოუტანს არა მარტო შეერთებულ შტატებს, არამედ საერთოდ მთელ მსოფლიოს.

ჯ. ფორდმა განაცხადა, რომ სთხოვდა ჰ. კისინჯერს დარჩეს საზელმწიფო მდივნის პოსტზე ახალ მთავრობაში და რომ იგი დათანხმდა ამას.

რ. ნიქსონის გამოსვლა

ვაშინგტონი, 9 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს ქრონიული რადიოსი და ტელევიზიით გამოსვლისას რ. ნიქსონმა გამოაცხადა, რომ გადადგომა გადადგეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტიდან. მან თქვა, რომ ამ პოსტს დაიკავებს ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ფორდი, რომელიც ფიცს დადებს 9 აგვისტოს.

განმარტა რა თავისი გადადგომის მოტივი, რ. ნიქსონმა თქვა: „კონგრესის ხელმძღვანელებთან და სხვა ხელმძღვანელებთან მოღვაწეებთან საუბრის შემდეგ დავასკვენი, რომ უოტერჰეიტის საქმის გამო ალბათ აღარ მექნებოდა ის დასაყრდენი კონგრესში, რომელიც აუცილებლად მიმაჩნია მტკიცე ძალა გადაწყვეტილებათა მხარდასაჭერად და პრეზიდენტის მოვალეობის შესასრულებლად ისე, როგორც ამას ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ. ამერიკას სჭირდები პრეზიდენტი, თქვა შემდეგ რ. ნიქსონმა, რომელიც მთელ თავის დროს მოახმარს უშუალო მოვალეობათა შესრულებას, და იგივე — სრულიად სამართლიანად ითქმის კონგრესის მიმართაც, განსაკუთრებით ახლა, თუ გავითვალისწინებთ პრობლემებს, რომლებსაც ვაწყდებით ჩვენში და საზღვარგარეთ.

მომავალი თვეების მანძილზე ბრძოლის განგრძობას თავის გასამართლებლად, აღნიშნა რ. ნიქსონმა, მოუნდებოდა როგორც პრეზიდენტის, ისე კონგრესის თითქმის მთელი დრო და აუცილებელი მოღვაწეებთან საუბრის შემდეგ დავასკვენი, რომ უოტერჰეიტის საქმის გამო ალბათ ეფექტიანად ვერ ავიხდიდი ჩემს ვალდებულებას ეროვნული ინტერესებისადმი, ეს ინტერესები ამოიკითხეს ჩემ მიერ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ჩატარებულ ოფიციალურ ოფიციალურ ოფიციალურ ... ...

ჩვენი საახელოვანი სპორტსმენები



ნ. გაფრინდაშვილი.



ლ. თედიაშვილი.

მ. ჩიბურდანიძე.

დ. შანიძე.

ვ. სანეევი.

„ვერცხლის სასალათის“ რაინდები

ქართველი ჩოგნები დევისის თასისათვის ბრძოლაში

ვერ მიტყვი, რომ დევისის თასის გათამაშების ევროპის „ბ“ ზონას ფინალური მატჩის — სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელებს შორის — შედეგმა, რომელიც ამას წინათ გაიმართა დონეცკში, ხენსაცია გამოწვეია — ერთმანეთს ხვდებოდნენ დასლოვენით თანაბარი ძალის მეტოქენი. და მაინც სსრ კავშირის გუნდის გამარჯვებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩოგბურთის სამყაროში.

ჩოგბურთი ჩეხოსლოვაკიაში ხალხური ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, სახელოვანი ტრადიციების მქონე სახეობაა. მე ერთხელ მომიხდა მენახა პრაღაში მატჩი დევისის თასის ფარგლებში ჩეხოსლოვაკიისა და ესპანეთის გუნდებს შორის. ჩოგბურთის სტადიონის ტრიბუნები მჭიდროდ აევსოთ ტემპერამენტიან გულშემატკივრებს. 1947 და 1948 წლებში ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელები უძლიერესნი იყვნენ ევროპაში (ევროპის ორი ზონა მაშინ არ იყო) და დევისის თასის ფინალში წაგეს მხოლოდ ავსტრალიის ჩოგბურთელებთან, რომლებიც მაშინ მსოფლიოში უძლიერესნი იყვნენ. 1971 და 1973 წლებში ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელები ევროპის ერთ-ერთი ზონის გამარჯვეულნი გახდნენ, ამასთან უკანასკნელი გათამაშების დროს ნახევარფინალში წაგეს იმავე ავსტრალიელებთან.

ერთი სიტყვით, ჩვენ გვიპირისპირდებოდა ძალიან ძლიერი, გამოცდილი გუნდი, რომლის ლიდერი იყო უმბლდონის 1973 წლის გამარჯვებული იან კოდეში. როგორც თქვენ ალბათ გახსოვთ, უიმბლდონის ფინალში კოდეშმა სძლია ჩვენი ჩოგბურთის ლიდერს ალექსანდრე მეტრეველს და, ამრიგად, მატჩს, გარდა დიდი სპორტული მნიშვნელობისა, ჰქონდა კიდევ, ასე ვთქვათ, პირადი ასპექტიც.

ჩვენი გუნდისათვის ეს მატჩი იყო სათვალაჩინო მეექვსე ცდა მიეღწია გამარჯვებისათვის ევროპის ზონაში — ხუთიოვე წინა ცდა წარუმატებლად დამთავრდა. მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის ჩოგბურთელებმა დიდი უპირატესობით მოუგეს ნახევარფინალური შეხვედრა ეიფოლკავიის გამოცდილ გუნდს, სასურველი მიზანი უფრო ახლოს ჩანდა, ვიდრე ოდესმე აქამდე.

ერთი სიტყვით, მოსალოდნელი იყო, რომ მატჩი არაჩვეულებრივად შეუპოვარი და საინტერესო, დრამატული იქნებოდა, როგორც ხდება ხოლმე მსგავს სიტუაციებში — და მან ნავსებითი გაამართლა მოლოდინი! ასეთი ამალელვებელი გუნდური შეხვედრა მე არასოდეს არ მინახავს.

მკითხველებმა, რა თქმა უნდა, იციან, რომ ჩვენმა გუნდმა, რომელიც პირველ ორ დღეს აგებდა — 1:2, გაამარჯვა ანგარიშით 3:2. ამიტომ მხოლოდ გაკვრით შევეხები სპორტულ მომენტებს და გავიხიარებთ ზოგიერთ ჟურნალისტურ დაკვირვებებს.

კაცმა რომ თქვას, მთავარი, გადამწყვეტი ამბები მოხდა მესამე ტურში. პირველ დღეს გაიმართა კაპიტენების ერთეული გავარჯიშება. ალექსანდრე მეტრეველმა მოუგო ფრანტიშეკ პალას, იან კოდეშმა — თეიმურაზ კაკულიას, მეორე დღემ დიდი გულისტკივნა მოგვიტანა. საქმე ისიც კი არ იყო, რომ ჩვენმა წყვილმა — მეტრეველმა და ვლადიმერ კორტკოვმა — წაიგო კოდეშთან და ვლადიმერ ზალნიკოვთან, თუმცა ამან მატჩში გამარჯვება ძალიან საეჭვო გახადა. საქმე სხვა იყო — მეტრეველი, რომელსაც მეორე დღეს მოელოდა უმძიმესი ორთაბრძოლა კოდეშთან, თავს როგორღაც კარგად ვერ გრძნობდა, თამაში არ გამოუვიდა, უმარტივესი დარტყმების დროს წარმოუდგენელ შეცდომებს უშვებდა.

თ. კაკულია.

გამოვტყდები, ამან ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ კოდეშთან შეხვედრის წარმატებით დამთავრების რწმენა დავკარგე. მაგრამ მეტრეველმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ დიდი სპორტსმენები ასერხებენ უნდილესი გამოცდის ჟამს მონახონ თავის თავში რაღაც ფარული ძალები, მიმალული ფსიქოლოგიური რეზერვი. თუმც მეტრეველს კიდევ სტკიოდა ფეხი, რომელიც მან პალასთან თამაშში დაიხანა, თუმცა სჯობდა, რომ მისი ფიზიკური მდგომარეობა უკეთესი ყოფილიყო, იგი კორტზე თითქოს განახლებული გამოვიდა. მე თვალს ვადევნებ მეტრეველის თამაშს 1961 წლიდან, როცა იგი ჯერ კიდევ მთლად ახალგაზრდა, პირველად გამოვიდა სსრ კავშირის ჩემპიონატში, რომელიც კალინინგრადში მიმდინარეობდა. ბედნიერება მქონდა მენახა მისი თამაში უიმბლდონისა და პარიზის როლანგაროს კორტებზე, მაგრამ ასეთი მძაფრი სურვილი გამარჯვებისა, როგორც ამჯერად, მისთვის არასოდეს არ შემიმჩნევია. რა თქმა უნდა, მეტრეველი ძალიან ნერვიულობდა, და გასაკვირველიც იქნებოდა, რომ ამ სიტუაციაში აუღელვებელი დარჩენილიყო. თამაშის შემდეგ იგი გამოტყდა, რომ ოთხსაათნახევარი ბრძოლის მანძილზე იგი ებრძოდა არა მარტო კოდეშს, არამედ თავის თავსაც, თავის ნერვებს, და არც თუ ყოველთვის წარმატებით. მატჩის შემდეგ მან ისიც ახსნა, თუ ასე რატომ სწყეროდა გამარჯვება — პირად ტურნირებში მაინც შენს მაგიერ თამაშობს, გუნდურში კი სამშობლოს ღირსებას იცავ. აი ამიტომ ამ მატჩს ჩემთვის უფრო დიდმნიშვნელოვნად ვთვლიდი, ვიდრე უიმბლდონის ტურნირის ფინალსაც კი.

კეთილშობილური ხიტყვებია!

იყო მომენტი, როცა ალბათ ყველანი ფიქრობდნენ, რომ მეტრეველის მდგომარეობა უიმედო გახლდათ. ეს იყო მაშინ, როცა იგი აგებდა 1:4, თანაც ბურთი კოდეშს უნდა მიეწოდებინა. მაგრამ სწორედ აქ განიცადა მეტრეველმა არაჩვეულებრივი სულიერი აღმავლობა, ხოლო კოდეშმა, პირიქით, ვეღარ შეძლო ებრძოლა დაღლილობასთან. საინტერესო დეტალი მეორე დღეს ტრიბუნაზე გამოჩნდა პალასთან კაკულიას თამაშის დროს, მადლიერმა მაყურებლებმა მას ოვაცია გაუმართეს.

მაშ ასე, სსრ კავშირის გუნდი პირველად გახდა ევროპის ორი ზონიდან ერთ-ერთში გამარჯვებული და ახლა, მსოფლიოს პირველობის ნახევარფინალში უნდა შეხვდეს ინდოეთის ჩოგბურთელებს. ძნელია ამ წარმატების მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება: ჩვენ ხომ მსოფლიოს პირველობის მონაწილე უძლიერესი გუნდების ოთხეულში შევედით!

ამ დღეებში სრულდება ასი წელი იმ დღიდან, რაც გაჩნდა ჩოგბურთი, რომელიც გამოიგონა ინგლისელმა მაიორმა ვინკფიელდმა. განსაკუთრებით უკანასკნელ აფწლეულებში ჩოგბურთი სულ უფრო პოპულარული ხდება. მთელ მსოფლიოში 32:7 (29:4) დაამარცხა იუგოსლავიის „ნადა“. ჩვენს ნაკრებს ჩასატარებელი აქვს კიდევ ერთი მატჩი მოსკოვის კლუბების ნაკრებთან, რომელიც დღეს გაიმართება.

ფეხბურთი. გუშინ მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მე-17 ტურის ბოლო მატჩი: მოსკოვის „დინამო“ — ცსკა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს არმიელებმა.

დღეს ცენტრალურ სტადიონზე ლუჟნიკში გაიმართება სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი კიევის „დინამოსა“ და ვოროშილოვგრადის „ზარიას“ შორის. შეხვედრა ტრანსლირებული იქნება ცენტრალური ტელევიზიით 19 საათიდან თბილისის დროით.

„ოქრო“ და „ბრინჯაო“

საქართველოს ველოსიპედისტთა წარმატება

ნოტინგემის ველოტრეკზე გაიმართა სსრ კავშირის მორიგი ჩემპიონატი, რომელშიც განსაკუთრებით ისახელეს თავი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

სალიდერო რბოლის ფინიშზე პირველი იყო ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის დუეტი თბილისელების ვლადიმერ პოპოვისა და გიორგი ტრაგკინის (ლიდერი) შემადგენლობით, რომლებმაც დაძაბულ ბრძოლაში უკან მოიტოვეს ოქროს მედლების მრავალგზის მფლობელნი, მოსკოველები მ. მარკოვი და მ. ზაიცევი.

ბრინჯაოს მედლები გადაეცა თბილისელთა მეორე წყვილსაც — საბჭოთა კავშირის რეკორდსმენებს ოლეგ პროკოპენკოსა და ირაკლი კავსაძეს (ლიდერი).

ასეთი დიდი წარმატება ჩვენს ველოსიპედისტებს სალიდერო რბოლაში ჯერ არ ქონიათ.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 10 აგვისტოსათვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ ბ.	9	7	1	27-10	25
„ჩერნოზემორი“.	7	7	3	27-21	21
„ზენიტი“	5	11	1	19-18	21
„დნეპრი“	6	7	4	17-15	19
„სპარტაკი“	6	7	4	17-15	19
„არარატი“	6	6	5	20-16	18
„დინამო“ მ.	5	8	4	21-19	18
„ტორპედო“	6	6	5	18-17	18
„კარპატი“	4	8	5	24-23	16
„პაბტაკორი“	5	6	6	24-26	16
„შახტიორი“	4	8	5	16-18	16
ცსკა	4	7	6	21-24	15
„დინამო“ თბ.	3	8	6	14-32	14
„ზარია“	3	6	8	20-25	12
„კარპატი“	2	8	7	12-19	12
„ნისტრუ“	3	6	8	24-33	12

ე. ბერიშვილი

ეგვრაფ ტელემაჩანისძე ბერიშვილი.

ე. ბერიშვილი დაიბადა 1902 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში, ღარიბი გლეხის ოჯახში, 1924 წელს ზუგდიდის პუმანიტარულ ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს, სადაც 1928 წლამდე მსახურობდა.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო პოლიტსამმართველოში. ამ დროიდან მოკიდებული ორ ათეულ წელზე მეტი იმსახურა მან საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, ვიდრე 1951 წელს ავადმყოფობის გამო ძალულებული არ გახდა პენსიაზე გასულიყო.

ე. ბერიშვილმა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მუშაობისას გაიარა ნათელი და სახელოვანი გზა რიგითი ჩეკისტიდან მაღალი ჩინის პასუხისმგებელ მუშაკამდე. სხვა და სხვა დროს იგი სახელმწიფო უშიშროების განყოფილებებს ხელმძღვანელობდა გუდაუთის, გაგრის, ონჩამირის, ქობულეთის რაიონებში.

ყველგან სადაც მას უმუშავნია, გამოირჩეოდა საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, პრინციპულობით, ადამიანებისადმი ფაქიზი და გულისხმიერი მოპყრობით.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასა ე. ბერიშვილის ღვაწლი. სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი მუშაობისათვის ის დაჯილდოებულია ოქროს ორდენით, წითელი დროშისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით და მრავალი მედლით.

ეგვრაფ ბერიშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მისი მეგობრებისა და მახლობლების გულში, ყველა იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი

ᲛᲔᲛᲔᲥᲕᲡᲔᲓ!

„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალურმა სამმართველომ პირველი ჯგუფის სამმართველოებს შორის, რომელშიც შედიან მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ოდესა და სხვა ქალაქები და რესპუბლიკები, დიდ წარმატებას მიაღწია. მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით იგი პირველ ადგილზე გამოვიდა და საკავშირო სპორტკომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაამსახურა მეექვსედ.

სპორტის ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. ვროცლავში (პოლონეთი) მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 15 ქვეყნის 64 სპორტსმენი გამოდის. საბჭოთა ჩოგბურთელებიდან დაუმარცხებელად იბრძვიან ალექსანდრე მეტრეველი, ოლგა მოროზოვა, თეიმურაზ კაკულია, მარინა კროშინა და ნატალია ჩმირიოვა, რომლებიც ერთეულთა მეოთხედფინალში გავიდნენ. წყვილთა ასპარეზობაში მეტრეველმა და მოროზოვამ დაამარცხეს ჩეხოსლოვაკელები ტომანოვა და შიმბერი — 6:2, 6:4.

რიგები. წარმატებით გამოდის მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე გაზეთ „სოციალისტჩესკაია ინდუსტრიას“ პრიზზე სსრ კავშირის კლუბების ნაკრები. 8 აგვისტოს მან ანგარიშით 29:4 (29:4) ... ...